*დანართი №1*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

## სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლა

**შეფასების თარიღ(ებ)ი - 30 და 31 აგვისტო, 2021წ.**

**დასკვნის წარდგენის თარიღი - 03 სექტემბერი, 2021წ.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 200314301 |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | არა |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | არა |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | თბილისი |
| იურიდიული მისამართი | დავით აღმაშენებელის ხეივანი, მე -12 კმ, (ნაკვეთი 14/541 და ნაკვეთი 14/517) |
| ფაქტობრივი მისამართი | დავით აღმაშენებელის ხეივანი, მე -12 კმ, (ნაკვეთი 14/541 და ნაკვეთი 14/517) |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| საფოსტო ინდექსი | 0131 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | https://megaschoolgeorgia.ge/ |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | Tbilisi221@mes.gov.ge |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | |
| **ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)** | თამარ მამსიკაშვილი |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 599041717 |
| ელ-ფოსტა | t.mamsikashvili@gmail.com |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის, თამარ მახარაშვილის ბრძანება MES 9210000806395, 20.08.2021წ. - ,,ზოგადსაგანმანათლებლო ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ“ |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 30 და 31 აგვისტო, 2021წ. |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | ლელა ჯაში |
| წევრი (სახელი, გვარი) | ნანა ედიშერაშვილი |
| წევრი (სახელი, გვარი) | |
| წევრი (სახელი, გვარი) | |
| წევრი (სახელი, გვარი) | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

## IV. ვიზიტის შეჯამება

### ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | **მუხლი 6/ პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | **მუხლი 6/ პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 6/ პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | | | |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ☒ | ☐ |
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | **მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)** | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | **მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)** | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | მუხლი 7 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | მუხლი 7 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა) | ☒ | ☐ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ) | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ) | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ) | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე) | ☒ | ☐ |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | მუხლი 7/ პუნქტი ზ) | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე | მუხლი 7/ პუნქტი თ) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | | | |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | **მუხლი 7/ პუნქტი ი)** | ☒ | ☐ |
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | **მუხლი 8/ პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | **მუხლი 8/ პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | **მუხლი 8/ პუნქტი ვ)** | ☒ | ☐ |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | ..... |
| | *1.2.* | ..... |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.2.* | ..... |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | . |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | ..... |
| | *1.2.* | ..... |
| | | |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.5* | სკოლის ვებ. გვერდი, და შესაბამისი გვერდები სოციალურ ქსელში (FACEBOOK, INSTAGRAM) შეიცავს სახელწოდებას ,,მეგა“ სკოლა, რომელიც არ აქვს მინიჭებული სკოლას ოფიციალურად (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N448, 15.09.2005 ბრძანებაში - |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ სკოლის სახელწოდებაა სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლა). სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობაში მოიყვანოს სკოლის ვებ. გვერდის და სოციალური ქსელების დასახელება მინისტრის ბრძანებაში მითითებულ სახელწოდებასთან. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი* | *ადამიანური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *3.1.* | |
| | | |

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი | სკოლა დაკომპლექტებულია კვალიფიციური და გამოცდილი კადრებით. ყველა მასწავლებელს აქვს პორტფოლიო, სადაც დოკუმენტირებულია როგორც მათი მუშაობის პროცესი, ასევე შედეგი. სკოლის ორგანიზაციული კულტურა თანამშრომლობითია. პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული გუნდური მუშაობის პრაქტიკა და ხელშეწყობა ადმინისტრაციის მხრიდან, საშუალებას აძლევს მასწავლებლებს, საკუთარ თავში იპოვონ რესურსი სასწავლო საქმიანობის გასაუმჯობესებლად, მოსწავლეთა ინტელექტუალური ძალების განვითარების ხელშესაწყობად. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **დაწესებულების მისია** | სკოლის მისიაა:<br>• მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენისა და განვითარების მიზნით შესაბამისი გარემოს შექმნა;<br>• შექმნას საჭირო პირობები თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის;<br>• განავითაროს მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევები, უზრუნველყოს აუცილებელი ცოდნით, ხელი შეუწყოს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, ხელი შეუწყოს საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.<br>• ხელი შეუწყოს ინკლუზიური განათლების დანერგვას;<br>• მუდმივად გააუმჯობესოს სწავლების ხარისხი და იზრუნოს თანამშრომლების პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე;<br>• უზრუნველყოს ზოგადი განათლების ყველასთვის თანაბარი ხელმისაწვდომობა;<br>• მოსწავლეებს ადრეული ასაკიდანვე განუვითაროს დამოუკიდებლად და კრიტიკულად აზროვნების უნარი;<br>• უზრუნველყოს ოპტიმალური პირობები თითოეული მოსწავლის ნიჭისა და უნარის გამოსავლენად და დაეხმაროს მათ განვითარებაში; |

## VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა | |

## IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა: 1900 | ექსპერტი ეთანხმება ☒ | აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტი არ ეთანხმება ☐ | |

## X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

### 1. საგანმანათლებლო პროგრამები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლის სასკოლო-სასწავლო გეგმის პროექტი (შემდგომში: სასკოლო-სასწავლო გეგმა) შედგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 11 მარტის N36/ნ ბრძანებებით დამტკიცებული ეროვნული სასწავლო გეგმების საფუძველზე.<br>**სასკოლო-სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილებია:**<br>1. მისია;<br>2. 2021-2022 სასწავლო წლის კალენდარი;<br>3. დღის რეჟიმი;<br>4. დისტანციური სწავლება;<br>5. საგნობრივი კათედრები;<br>6. სასკოლო საათობრივი ბადე;<br>7. ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;<br>8. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი, საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა;<br>9. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებლი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა); |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 10. საგანმანათლებლო რესურსი;<br>11. გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით;<br>12. ინკლუზიური განათლება;<br>13. სადამრიგებლო პროგრამა;<br>სკოლა საგანმანათლებლო პროცესს წარმართვს ქართულ ენაზე, სწავლება მიმდინარეობს 3 (სამი) საფეხურზე:<br>• დაწყებითი (I-VI კლასები);<br>• საბაზო (VII-IX კლასები);<br>• საშუალო (X-XII კლასები).<br><br>**სკოლის მისია** განსაზღვრავს პიროვნების განვითარებაზე მორგებულ, კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო კონცეფციას, რომელიც მოიცავს იმ ძირითად პრინციპებს, რომელზეც უნდა დაფუძნდეს სწავლა-სწავლების პროცესი. იგი ორიენტირებულია მოსწავლის საჭიროებებზე. ითვალისწინებს როგორც მოსწავლეთა, ისე სკოლის თანამშრომელთა მუდმივ განვითარებას, განათლებისა (მათ შორის ინკლუზიური განათლების) და რესურსების თანაბარ ხელმისაწვდომობას. შეიცავს ისეთ მნიშვნელოვან და ფუნდამენტურ საკითხებს, როგორებიც არის მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, კრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნების უნარის განვითარება, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერება და ა.შ.<br><br>დოკუმენტის თანახმად, სკოლაში სასწავლო კვირა ხუთდღიანია. თუმცა, განსაზღვრულია გამონაკლისი შემთხვევები, როდესაც შესაძლებელია სკოლამ 6 დღიანი კვირეული დატვირთვით წარმართოს სასწავლო პროცესი. გაკვეთილების ხანგრძლივობაც სტანდარტულია და სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. თუმცა, აქაც, შესაძლებელია დაშვებულ იქნას გამონაკლისი გარკვეული გარემოებების არსებობის შემთხვევაში და სკოლამ ხანმოკლედ ვადით შეცვალოს გაკვეთილების ხანგრძლივობა. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლას შემუშავებული აქვს **დისტანციური სწავლების სხადასხვა მოდელი** (პანდემიის გამო, ამ ეტაპზე, ჯერ ცნობილი არ არის რა ფორმით წარიმართება სასწავლო პროცესი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში). როგორც ირკვევა, სასწავლო პროცესის ორგანიზების გეგმა და დისტანციური სწავლების განრიგი, სასკოლო-სასწავლო გეგმის თანახმად, შემუშავდება სკოლის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე. გარდა ამისა, სკოლას წარმოდგენილი აქვს დისტანციური სწავლების დროს საათობრივი დატვირთვა, სადაც გათვალისწინებულია მოზარდის ფიზიკური და ფსიქოლოგიური შესაძლებლობები.<br><br>აღსანიშნავია, რომ სკოლას დოკუმენტში გაწერილი აქვს დისტანციური სწავლების მონიტორინგის პროცესი. მისასალმებელია, რომ მონიტორინგის განხორციელებისას, სხვა საკითხებთან ერთად, დაწესებულება აქცენტირებას აკეთებს ისეთ დეტალებზე, როგორიც არის ეთიკის და ქცევის ზოგადი წესების დაცვა, რაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.<br><br>**კათედრები:**<br><br>სკოლაში 8 საგობრივი კათედრაა.<br><br>• სახელმწიფო ენის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ენა და ლიტერატურის მასწავლებლები;<br>• მათემატიკისა და ისტ-ის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ორი სხვდასხვა მათემატიკისა და ისტ-ის მასწავლებლები;<br>• საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის მასწავლებლები;<br>• საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიის, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების, საგზაო ნიშნები და მოძრაობის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | უსაფრთხოების, მოქალაქეობის და სამოქალაქო განათლების მასწავლებლები;<br>• უცხოური ენების კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ინგლისური ენისა და მეორე უცხოური ენის (გერმანული, რუსული)მასწავლებლები;<br>• ესთეტიკური აღზრდის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის მასწავლებლები;<br>• სპორტის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სპორტისა და ფიზიკური აღზრდის მასწავლებლები;<br>• დაწყებითი საფეხურის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან I-IV კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების მასწავლებლები.<br><br>სასკოლო-სასწავლო გეგმაში დეტალურად არის წარმოდგენილი საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები. კათედრების მუშაობის პროცესში მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდება თანამედროვე სწავლა-სწავლების მეთოდებზე, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზზე, ურთიერთთანამშრომლობაზე, გამოცდილების გაზიარებაზე და ა.შ.<br><br>**ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დამატებით საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურებას სკოლა,** ამ ეტაპზე, მოსწავლეებს არ სთავაზობს. ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების განხორციელება იგეგმება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდჭერით - პროექტის „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“, რომლის ფარგლებშიც, მოსწავლეებს სურვილის შემთხვევაში შესაძლებლობა ექნებათ შეისწავლონ ჩინური ენა.<br><br>**გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების ნუსხა,** წარმოდგენილია დოკუმენტის დანართის სახით და ატვირთულია eschool - ში. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | სასკოლო-სასწავლო გეგმა;<br>სკოლის მისია;<br>ინტერვიურება სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან, კათედრის ხელმძღვანელებთან;<br>Eschool - ის ბაზა. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | დოკუმენტის დამუშავების პროცესში, ასევე, კომუნიკაციის საფუძველზე მკაფიოდ იკვეთება, რომ სკოლისთვის თითოეული მოსწავლე არის უნიკალური, როგორც უნარებით და შესაძლებლობებით, ასევე, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით. შესაბამისად, სკოლის ამოცანაა, სასწავლო პროცესი მაქსიმალურად ორიენტირებული იყოს მოსწავლეზე. სკოლა ითვალისწინებს ,,ახალი სკოლის მოდელის“ მისიას, რომელიც მოითხოვს პიროვნებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო ხედვის შესაბამისი ცვლილებების შეტანას ზოგადი განათლების მართვის მექანიზმებში. სკოლას შემუშავებული აქვს შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმა, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მასწავლებლებს გამოავლინონ მოწავლეების ძლიერი და სუსტი მხარეები, დაგეგმონ შემდგომი ინტერვენციები და ამით, ხელი შეუწყონ მათი აკადემიური ცოდნისა და უნარების განვითარებას. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში იკვეთება, რომ აქცენტირება ხდება იმ ღირებულებებზე, რომლებიც თითოეულ მოსწავლეს უნდა ჩამოუყალიბდეს დავალების შესრულების შემდგომ. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>თემატური გეგმები;<br>შემაჯამებელი დავალების ნიმუშები, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა;<br>ინტერვიურება; |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სასკოლო-სასწავლო გეგმის მნიშვნელოვანი ნაწილია **ინკლუზიური განათლება**. ამ ეტაპზე, სკოლაში სსსმ მოსწავლე არ ირიცხება. მიუხედავად ამისა, სკოლის სასკოლო-სასწავლო გეგმით წარმოდგენილი რეგულაციები ინკლუზიური განათლების განსახორციელებლად დეტალურად არის გაწერილი და მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიც არის ალტერნატიული სასწავლო გეგმის შემუშავება და გამოყენება, ისგ-ს ჯგუფის შექმნა, სსსმ აკადემიური მიღწევების შეფასება, დასწრებასა და გაცდენებთან დაკავშირებული რეგულაციები. ინფორმაცია სსსმ მოსწავლის შინ სწავლების შესახებ. აღწერილია ის პრევენციული მექანიზმები, რომელიც განაპირობებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის უსაფრთხოებას. სკოლის ინფრასტრუქტურა მოსწავლეთა საჭიროებებზეა მორგებული - სველი წერტილები ადაპტირებულია, სკოლის კიბეებზე გაკეთებულია პანდუსები, რომლის საშუალებითაც სსსმ მოსწავლეები იოლად შეძლებენ გადაადგილებას და ურთიერთობას თანატოლებთან. სკოლაში დამონტაჟებულია საერთაშორისო სტანდარტების მქონე ლიფტები, არის რესურსოთახები. მნიშვნელოვანია, რომ სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში, სკოლის პრიორიტეტია მშობელთა ჩართულობის გაზრდა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | სასკოლო-სასწავლი გეგმა;<br>სკოლის ვიზუალური დათვალიერება;<br>ინტერვიურება სკოლის დირექციასთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | **მოსწავლეთა შეფასების წესი** სწავლა-სწავლების ხარისხის მართვაზეა ორიენტირებული და მიზნად ისახავს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვასა და სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. სასკოლო-სასწავლო გეგმის თანახმად, შეფასება უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოსწავლის ინდივიდუალური პროგრესის შესახებ. მოსწავლეთა შეფასება ხდება სამი კომპონენტის მიხედვით - საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალებებით.<br>სკოლისათვის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები. მოსწავლეთა შეფასება ხორციელდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებებით. ინტერვიურებისას იკვეთება, რომ განმავითარებელი შეფასების კომპონენტის სარგებელი კარგად აქვს გაცნობიერებული სკოლას და შესაბამისად, პრიორიტეტული იქნება სწავლა-სწავლების პროცესში. აღნიშნულს ადასტურებს სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენი შემაჯამებელი დავალების შეფასებას გეგმავს სკოლა 2021-2022 სასწავლო წელს განმავითარებელი შეფასებით.<br>შეფასების კრიტერიუმები გამჭირვალეა და ცნობილია მოსწავლეებისათვის და მშობლებისათვის.<br>სასკოლო-სასწავლო გეგმას დანართად წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, თუმცა, დოკუმენტი აზუსტებს, რომ ნიმუშები მოცემულია მაგალითის სახით და თითოეულმა მასწავლებელმა შესაძლებელია თვითონ შეიმუშაოს ინდივიდუალური შეფასების რუბრიკა. მიმდინარეობს შეფასების შედეგების ანალიზი და იგეგმება შემდგომი ინტერვენციები.<br>სასკოლო-სასწავლო გეგმაში მკაფიოდ არის განსაზღვრული შემაჯამებელი დავალებების აღდგენის გზები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სემესტრული, წლიური და საფეხურის ქულების გამოანგარიშების წესი წარმოდგენილია ესგ-ს შესაბამისად. სასკოლო-სასწავლო გეგმა განსაზღვრავს გაცდენების აღრიცხვის წესს, ექსტერნატის გამოცდების დანიშვნის წინაპირობას. გაცდენების გამო, შინ სწავლებისა და საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილე მოსწავლეებისათვის დადგენილ წესებს.<br>სასკოლო-სასწავლო გეგმაში მითითებულია გამოცდების ტიპები, მათ შორის მოცემულია ინფორმაცია სემესტრული, საშემოდგომო და ექსტერნატის გამოცდების შესახებ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | სასკოლო-სასწავლო გეგმა,<br>კომპლექსური დავალებების ნიმუშები;<br>შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების ცხრილი სკოლისთვის. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლასა და მშობელს შორის ურთიერთობა რეგულირდება შინაგანაწესით. აგრეთვე, ,,მშობელთან ურთიერთობის დებულებით (კომუნიკაციის წესი),,. დებულება ვრცელია და ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორებიც არის: სკოლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ურთიერთვალდებულებები, მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი, მოსწავლის მშობელთან კომუნიკაციის სტრატეგია - მათ შორის, მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი, მშობელთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები, მშობელთა კრებების წარმართვის ფორმები და ჩატარების პერიოდი. აღსანიშნავია, რომ დებულება ითვალისწინებს მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების დაცვას, მოსწავლეთა დახასიათების ფორმის ძირითად ასპექტებს (წყობას, შესაძლო შინაარსს და ა.შ). სწორედ აღნიშნული დებულება განსაზღვრავს, რომ მშობელთა ჩართულობით განხორციელდეს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ხასიათის ღონისძიებები ისეთ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | აქტუალურ თემებზე, როგორებიც არის: მშობლის როლი მოსწავლის განათლებაში და აღზრდაში, შვილთან ეფექტური კომუნიკაცია, ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე, ჯანსაღი ცხოვრების წესი, პერსონალური მონაცემების დაცვა და ა.შ.<br>გარდა ამისა, დოკუმენტი არეგულირებს ისეთ აქტუალურ საკითხს, როგორიც არის საინფორმაციო შეხვედრები მშობლებთან პანდემიასთან დაკავშირებით.<br>სკოლის სადამრიგებლო პროგრამაც, სხვა მნიშვენლოვან საკითხებთან ერთად, მშობელთან კომუნიკაციის ასპექტებს განსაზღვრავს. დოკუმენტის თანახმად, კომუნიკაცია შესაძლებელია სხვადასხვა ფორმით განხორციელდეს. გარდა პირისპირ ურთიერთობისა, სკოლა გეგმავს გამოიყენოს წერილობითი და სატელეფონო შეტყობინებები. ასევე, ელექტრონული ჟურნალები. სწორედ კლასის დამრიგებელს ევალება ხელი შეუწყოს მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში.<br><br>სკოლის ვებ.გვერდი და აქტიურობა სოციალურ ქსელებში, ხელს უყობს მშობელთა და დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას გარკვეული საკითხების შესახებ (მათ შორის, სკოლაში განხორციელებული კლასგარეშე აქტივობების, დაგეგმილი ღონისძიებების და ა.შ.).<br>სკოლა გეგმას მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხელშეკრულების გაფორმებას, სადაც მკაფიოდ იქნება გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობანი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | სკოლის შინაგანაწესი;<br>სასკოლო-სასწავლო გეგმა;<br>მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის წესი);<br>სადამრიგებლო დებულება;<br>ინტერვიურება;<br>სკოლის ვებ. გვერდი,<br>სოცილური ქსელის შესაბამისი გვერდები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმი. სკოლის მიერ დაგეგმილი ნაბიჯები ამ მიმართულებით შემდეგია: დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე. აღნიშნული დოკუმენტი ითვალისწინებს სკოლაში ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, როგორებიც არის: სასწავლო პროცესის მუდმივი მინიტორინგი, ესგ-ში შესული ცვლილებების გათვალისწინება სასკოლო-სასწავლო გეგმაში, სასწავლო პროცესის მონაწილეთა გამოკითხვა, გამოკითხვის შემდგომი ანალიზი, გაკვეთილების შეფასება-ანალიზი, მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული სასკოლო-სასწავლო გეგმის შექმნა. მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროცესის დასასრულს, სკოლა გეგმავს შეაჯამოს არსებული მონაცემები სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდით (SWOT ანალიზი), რაც შესაძლებლობას მისცემს სკოლას შეაფასოს როგორ განვითარდა სკოლა, რა გამოწვევების წინაშეა, გამოკვეთოს განვითარების პერსპექტივები და საფრთხეები.<br><br>აღსანიშნავია, რომ მონაცემების მონიტორინგის, შეფასება-შემოწმების გარდა, სკოლა გეგმავს აქტიურად აწარმოოს ანონიმური გამოკითხვა. მაგალითად, სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმი დაგეგმვის ფაზაზე ითვალისწინებს - ანონიმური ანკეტების ფორმის შემუშავების პროცედურას, შემდგომ, მოსწავლეთა, მასწავლებლების, მშობლების ანონიმური გამოკითხვის ორგანიზებას. პროცესი სრულდება ანონიმური გამოკითხვის შედეგების ანალიზით, რაც წინაპირობაა იმისა, რომ შეფასებები მაქსიმალურად ემთხვეოდეს არსებულ მონაცემებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. სასკოლო-სასწავლო გეგმა;<br>2. სასკოლო-სასწავლო გეგმის შეფასებისა და გაუმჯობესების მექანიზმი; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 3. შესაბამისი კითხვარები.<br>4. ინტერვიურება. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| **რჩევები:** | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## მატერიალური რესურსი

| | |
|---|---|
| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
| **ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი:** | |
| **დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:** | |
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლა (ს/კ 200314301) მდებარეობს დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, ნაკვეთი 14/541 და ნაკვეთი 14/517. სსიპ ქალაქ თბილისის N186 საჯარო სკოლის მიერ 2021 წლის 30 ივლისს, უძრავი და მასში არსებული მოძრავი ქონება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | უვადო სარგებლობის უფლებით გადაეცა სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლას (6653,61კვ.მ ფართი). ქონების გადაცემა განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ნებართვის საფუძველზე. სკოლას წარმოდგენილი აქვს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა N005459420, რომლის თანახმად, დამაკმაყოფილებლად შეფასდა შენობის ტექნიკური მდგომარეობა და მდგრადობა. სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის, გიორგი გეჯაძის ბრძანების N23-04/05, 25.09.2020წ. საფუძველზე, სკოლის შენობა მიღებულ იქნა ექსპლოატაციაში.<br>ვიზიტის დროს, სკოლის მიმდებარედ მიმდინარეობდა სამუშაოები - კერძოდ, ეწყობოდა სანიაღვრე და სადრენაჟე სისტემები. |
| *ფაქტობრივი მისამართი* | **დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, ნაკვეთი 14/541 და ნაკვეთი 14/517.** |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | **01.72.14.014.689** |
| *კვ.მ.* | **6653,61** |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** | შენობის გადაცემის დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტები;<br>სამინისტროს თანხმობის წერილი ქონების გადაცემის თაობაზე;<br>სამხარაულის დასკვნა;<br>შენობის ექსპლოტაციაში შესვლის დამადასტურებელი დოკუმენტი. |
| **შეფასება** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლის შენობა შედგება A, B, C, D და E ბლოკებისგან. ბლოკებს შორის დამაკავშირებელი 2 (ორი) შემინული ხიდია. სკოლაში 58 საკლასო ოთახია. ოთახები ნათელი და ფართეა. 58 დან 6 ოთახი 65 კვ.მ - ია, სადაც განთავსდებიან დაწყებითი კლასის მოსწავლეები. ოთახები აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. კერძოდ, მერხებით - საფეხურების მიხედვით, სკამებით და დაფებით. მერხები აკმაყოფილებს სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N572 ბრძანებას ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსების პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“.<br>როგორც სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდან ირკვევა, სკოლას სექტემბრისთვის 2253 ერთეული მერხი უნდა ჰქონდეს. 1353 ცალი მერხის გადაცემა დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტით. რაც შეეხება დარჩენილ 900 მერხს, მათგან 800 უკვე სკოლაშია და ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, თუმცა, სკოლის დირექტორის ინფორმაციით, მხოლოდ სრულად გადაცემის შემთხვევაში გაფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი სკოლასა და ინფრასტრუქტურის სააგენტოს შორის.<br>სკოლის სარგებლობაშია 11 პროექტორი, აგრეთვე, სხვა თვალსაჩინო მასალა, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად.<br>სკოლაში ერთი საბუნებისმეტყველო და 2 კომპიუტერული ლაბორატორიაა, 2 სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, 3 სპორტული დარბაზი, 3 რესურსოთახი, ექიმის 2 კაბინეტი (აქედან, მხოლოდ ერთი ფუნქციონირებს).<br>სკოლას აქვს სასადილო, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით და დანადგარებით. აღსანიშნავია, რომ სასადილოში ორი დამოუკიდებელი სივრცეა, რომელიც საფეხურების მიხედვით მოემსახურება მოსწავლეებს . |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლის მანდატურის ოთახები აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით, რომელიც სკოლის პერიმეტრის და შენობის დათვალიერების საშუალებას იძლევა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | მიღება-ჩაბარების აქტები,<br>ვიზუალური დათვალიერება,<br>სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს შუამდგომლობის წერილი ვაკე-საბურთალოს რესურსცენტრისადმი სკოლისათვის მერხების გადაცემის თაობაზე. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს სამი, სხვადასხვა ზომის სპორტული დარბაზი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით, კერძოდ, ფეხბურთის, კალათბურთის და ფრენბურთის ბურთებით, ფრენბურთის ბადით, სხვადასხვა ზომის კალათბურთის ფარებით, სხვადასხვა ზომის ფეხბურთის კარით და ა.შ. სპორტდარბაზებს აქვს გასახდელები, სველი წერტილები და საშხაპეები, როგორც გოგონებისათვის, ისე ვაჟებისათვის. აღსანიშნავია, რომ სპორტულ დარბაზებთან კიბეებზე, დამონტაჟებულია დასაკეცი პანდუსები.<br>სპორტულ დარბაზებში დამონტაჟებლია სავენტილაციო, გასათბობი და გამაგრილებელი (ე.წ. ,,ჩილერები“) სისტემები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ვიზუალური დათვალიერება,<br>მიღება-ჩაბარების აქტები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას აქვს გამოყოფილი კაბინეტი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისათვის. ლაბორატორიაში გარდა ძირითადი ოთახისა, დამხმარე ოთახია, სადაც შემდგომში იგეგმება შესაბამისი აღჭურვილობის და რეაქტივების დალაგება. ლაბორატორიაში |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დამონტაჟებულია სავენტილაციო სისტემები. როგორც ინფრასტრუქტირის განვითარების სააგენტოს წერილიდან ირკვევა (შუამდგომლობის წერილი ვაკე-საბურთალოს რესურსცენტრს), იგეგმება სკოლისთვის საბუნებისმეტყველო რეალურ-ვირტუალური ლაბორატორიის გადაცემა.<br>საბუნებისმეტყველო რეალურ-ვირტუალურ ლაბორატორიას ორგვარი ფუნქცია აქვს - იმუშაოს როგორც ვირტუალურ გარემოში, ასევე სათანადო კომპონენტების და სენსორების არსებობის შემთხვევაში, რეალურ გარემოშიც. რაც იმას გულისხმობს, რომ რეალურ ვითარებაში ცდების ჩატარებისას, მონიტორზე აისახოს მოცემული ცდის თანმხლები უხილავი მოვლენების ვიზუალიზაცია.<br>სკოლას 2 კომპიუტერული ლაბორატორია აქვს. ოთახები მოწყობილია, იატაკზე დამონტაჟებულია ე.წ. ,,დენ. ცქვიტები“. ამ ეტაპზე, სკოლის სარგებლობაშია 35 კომპიუტერი (30 პერსონალური და 5 პორტატული), თუმცა, როგორც ინფრასტრუქტურის სააგენტოს წერილიდან ირკვევა (შუამდგომლობის წერილი ვაკე-საბურთალოს რესურსცენტრს), სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლას გადაეცემა 60 ცალი პერსონალური კომპიუტერი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | მიღება-ჩაბარების აქტები;<br>ვიზუალური დათვალიერება;<br>ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენოს კორესპონდენცია; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. სკოლას მიეწოდება უწყვეტი ელექტროენერგია, აგრეთვე აქვს გენერატორი. სკოლის შენობის მთელ პერიმეტრზე, განთავსებულია სანათები, რომლებიც ავტომატურად ირთვება სინათლის ჩაქრობის დროს. საკლასო ოთახებში გარდა ძირითადი განათებისა, დაფებთან დამატებით არის დამონტაჟებული სანათები.<br>სკოლის სველი წერტილები ყველა სართულზეა განლაგებული როგორც გოგონებისათვის, ასევე ვაჟებისათვის. სველ წერტილებში დამონტაჟებულია თხევადი საპნის და ქაღალდის დისპენსერები. დერეფნებში, განთავსებულია ხელის სანიტაიზერები. ყველა სართულზეა ასევე, ადაპრიტებული სველი წერტილები. აღსანიშნავია, რომ ადაპტირებული სველი წერტილები განკუთვნილია სკოლაში დასაქმებული პერსონალისთვისაც. სკოლის შენობაში სატერფულიანი, დახურული ტიპის ურნებია განთავსებული.<br>სკოლაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა. სკოლის ეზოში დამხმარე შენობაში განთავსებულია გათბობის ქვაბები და ტუმბოები. გარდა ამისა, სკოლის ბიბლიოთეკაში, სააქტო დარბაზებში, სპორტულ დარბაზებში ჭერში დამონტაჟებულია გათბობა-გაგრილების მოწყობილობები (ე.წ. ,,ჩილერები,,). |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ვიზუალური დათვალიერება,<br>სკოლის შენობის ნახაზები და შესაბამისი დოკუმენტაცია, |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, რომელიც სრულად შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს. ბიბლიოთეკის ფართი საშუალებს იძლევა, მასში რამოდენიმე სივრცე გამოიყოს, მათ შორის არაფორმალური შეხვედრებისთვის და ღონისძიებებისათვის. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ბიბლიოთეკაში წიგნები ორგანიზებულად არის განლაგებული. წიგნები დამოწმებულია ბიბლიოთეკის ბეჭდით. ამ ეტაპზე, ბიბლიოთეკაში 797 წიგნია, გარდა სასკოლო სახელმძღვანელოებისა. მოსწავლეებს საშუალება ექნებათ ადგილზე გაეცნონ მათთვის სასურველ წიგნს, ან გაიტანონ ბიბლიოთეკიდან. სკოლის ბიბლიოთეკარი მუშაობს სპეციალურად შემენილ პროგრამაში, კერძოდ, ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემის ელექტრონულ კატალოგში OPENBIBLIO . სკოლას შედგენილი აქვს ბიბლიოთეკის დებულება, სადაც დეტალურად არის გაწერილი ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. აღსანიშნავია, რომ თავისი პირდაპირი ფუნქციების გარდა, ბიბლოთეკარს ევალება ხელი შეუწყოს ბიბლიოთეკაში პროექტების და სხვა აქტივობების ჩატარების პროცესს.<br><br>ბიბლიოთეკის დებულებაში, გაწერილია მუშაობის განრიგი და გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ვიზუალური დათვალიერება;<br>მიღება-ჩაბარების აქტები;<br>ბიბლიოთეკის დებულება;<br>საბიბლიოთეკო-ელექტრონული კატალოგის ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლაში, ამ ეტაპზე, არ ირიცხება სსსმ მოსწავლე. თუმცა, სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად არის ადაპტირებული და გათვალისწინებულია სსსმ მოსწავლის ყველა საჭიროება. სკოლის შესასვლელთან და კიბესთან განთავსებულია პანდუსები. გარდა ამისა, სკოლაში ფუნქციონირებს ორი ლიფტი, ყველა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სართულზე მოწყობილია ადაპტირებული საპირფარეშო. სპორტულ დარბაზებთანაც განლაგებულია დასაკეცი პანდუსები. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | ვიზუალური დათვალიერება; |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| **ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი** | სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაცია და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლაში 2 (ორი) კომპიუტერული ლაბორატორიაა, სადაც ჯამში 35 კომპიუტერია (იგეგმება სკოლისათვის დამატებით 60 კომპიუტერის გადმოცემა). სკოლაში ხელმისაწვდომია ინტერნეტი. სკოლის პედაგოგები გეგმავენ აქტიურად გამოიყენონ ციფრული ტექნოლოგიები სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. სკოლის ვებ. გვერდი https://megaschoolgeorgia.ge/ ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და იძლევა ინფორმაციას ისეთი საკითხების შესახებ, როგორებიც არის: სკოლის ინფრასტრუქტურა (შესაბამისი ფოტომასალა), სკოლის მისია, შინაგანაწესი, სასკოლო-სასწავლო გეგმა, სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, ინფორმაცია განხორციელებული პროექტების შესახებ (შესაბამისი ფოტომასალა). გარდა ამისა, სკოლა აქტიურია სოციალურ ქსელშიც. კერძოდ, *https://www.facebook.com/საჯარო-მეგა-სკოლა/* და *https://www.instagram.com/221megaskola/*. სკოლის ელექტრონული ფოსტის მისამართია: tbilisi221@mes.gov.ge |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები:** | მიღება-ჩაბარების დოკუმენტები;<br>ვებ.გვერდის და სოციალური ქსელის შესაბამისი გვერდების დათვალიერება;<br>ინფრასტრუქტურის სააგენტოს შუამდგომლობის წერილი ვაკე-საბურთალოს რესურსცენტრს კომპიუტერების გადაცემის თაობაზე;<br>ინტერვიურება. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანებით დამტკიცებულია დოკუმენტი ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც დეტალურად აღწერს უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფორმებს. ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი განლაგებულია სკოლის შენობაში, თვალსაჩინო ადგილას (ცეცხლმაქრები და მოქნილი მილები, რომლებიც განკუთვნილია სითხის გადასაცემად, განთავსებულია გამჭირვალე კარადებში). ცეცხლმაქრები დამუხტულია და ექსპლოატაციისათვის ვარგისია (ვადა აქვს 2022 წლის ნოემბრამდე). აღსანიშნავია სკოლის პირველ სართულზე, დამხმარე შენობაში, განლაგებულია 3 (სამი) 16 ტონიანი წყლის ავზი, რომელიც დამატებითი უსაფრთხოების გარანტიას წარმოადგენს. სახანძრო სიგნალიზაციის პროექტის შესაბამისად, სკოლის მთელ პერიმეტრზე განთავსებულია კვამლის დეტექტორები, განგაშის სირენები და განგაშის ღილაკები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ვიზუალური დათვალიერება;<br>სახანძრო სიგნალიზაციის პროექტი;<br>,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები“. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში თითოეულ სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. საევაკუაციო გეგმა შედგენილია შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ. სკოლის შენობას გააჩნია სათადარიგო გასასვლელი გარე კიბეების სახით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დოკუმენტი ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები'', შეიცავს დეტალურ ინფორმაციას სამედიცინო დახმარების აღმოჩენის გზების შესახებ. მას თან ერთვის პირველადი დახმარების ინსტრუქცია, რომელიც ვიზუალურადაც არის წარმოდგენილი.<br>სკოლაში დაცულია პერსონალის, მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. სკოლას ჰყავს ექიმი. ექიმის კაბინეტი განთავსებულია სკოლის შენობის პირველ სართულზე (სულ 2 ექიმის კაბინეტია, თუმცა მხოლოდ ერთია აღჭურვილი და ფუნქციონირებს) და ხელმისაწვდომია ყველა პირისთვის. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცედურები გამოკრულია ექიმის კაბინეტში თვალსაჩინო ადგილას. ექიმის კაბინეტი აღჭურვილია პირველადი დახმარების გაწევისთვის საჭირო ინვენტარით და სამედიცინო მედიკამენტებით. ექიმის ხელშეკრულებაში მკაფიოდ არის მითითებული მისი ფუნქციები.<br>მოსწავლეთა უსაფრთოხებაზე სკოლაში იზრუნებენ მანდატურებიც, რომელთა პირდაპირი ფუნქციაა საჭიროების შემთხვევაში, უსაფრთხოების შესაბამისი ზომების დაცვით პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | , ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის პროცედურა“<br>სასაქონლო ზედნადები;<br>ვიზუალური დათვალიერება;<br>ექიმის ხელშეკრულება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ყოველდღიური წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ სკოლის დირექტორის მოადგილეები (სულ 3), რომელთა ხელშეკრულებებში, ვალდებულებების ნაწილში, გაწერილია ფუნქციები. სკოლას ჰყავს დღის და ღამის დარაჯები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შენობისა და მიმდებარე ტერიტორიაზე კონტროლსა და დაცვას. სკოლის მიერ შედგენილი დოკუმენტი ,, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები“ შეიცავს რეგულაციას სკოლის შენობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უსაფრთხოდ გადაადგილების შესახებ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | დირექტორის მოადგილის ხელშეკრულება;<br>დარაჯის ხელშეკრულება.<br>,,სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები,,. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს** | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრი კონტროლდება 94 ერთეული უსაფრთხოების კამერით, რომლებიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს. A, B და C ბლოკს აკონტროლებს 54 კამერა. მანდატურების ოთახებში მოწყობილია შესაბამისი აღჭურვილობა (მათ შორის კომპიუტერები), რომლებიდანაც შესაძლებელია სკოლის როგორც შიდა, ისე გარე პერიმეტრის დათვალიერება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ვიზუალური დათვალიერება; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სსიპ ქალაქ თბილისი N221 საჯარო სკოლის წესდებას წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448, 15/09/2005წ. - ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“.<br>სკოლის შინაგანაწესის პროექტი (შემდგომში - შინაგანაწესი), წარმოადგენს სკოლის საქმიანობის ძირითად მარეგულირებელ დოკუმენტს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ისეთ საკითხებზე, როგორებიც არის: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაო და დასვენების დრო, სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები და ფარგლები, შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, სკოლაში მასწავლებლის/თანამშრომლის მიღება და სამსახურებრივი შეთავსება, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შრომითი ურთიერთობის პირობები, შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა/საბოლოო ანგარიშსწორება, დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა, მოსწავლის წახალისების ფორმები და დისციპლინური წარმოების თავისებურებანი, მოსწავლის უკონტაქტო ზედაპირული დათვალიერება და მოსწავლის განცალკევება, მატერიალური პასუხისმგებლობა, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვის და სკოლიდან გადაყვანის პირობები, მოსწავლის ჩაცმულობის წესი და ა.შ. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას და მისი გაცნობა შესაძლებელია სკოლის ვებ. გვერდზე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | სკოლის შინაგანაწესის პროექტი |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს ექვსწლიანი (2021-2027წწ.) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები (2021-2022 წწ). 2021-2022 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს სკოლის ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან. ორივე დოკუმენტში, მკაფიოდ არის მოცემული მიზნები. კერძოდ, ერთწლიანი გეგმა ითვალისწინებს სასწავლო წლის განმავლობაში განსახორციელებელ აქტივობებს, დასახული მიზნების მიღწევის თანმიმდევრობას, ახდენს შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების შერჩევას და განსაზღვრავს განხორციელების ვადებს. ერთწლიანი გეგმა მოიცავს სკოლისათვის მნიშვნელოვან პრიორიტეტულ მიმართულებებს, როგორებიც არის: მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემო, საორგანიზაციო საკითხები/პროცედურები და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, სწავლა-სწავლების ხარისხის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ამაღლებაზე ზრუნვა - მასწავლებელთა პროფესიული განვითარება, მშობელთა ჩართულობა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, საერთაშორისო კავშირების დამყარება და განვითარება. სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლის განვითარების ერთწლიანი გეგმა შემუშავდა SWOT-ანალიზზე დაყრდნობით. კონკრეტული ღონისძიებების გატარების საჭიროება გამოიკვეთა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზის საფუძველზე. ექვსწლიანი გეგმა სკოლის მისიიდან გამომდინარეობს და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;<br>სკოლის ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა;<br>სკოლის SWOT- ანალიზი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში (EFLOW). სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის მ/შ ბრძანებით. სკოლა აწარმოებს საერთო ბრძანებების აღრიცხვის სარეგისტრაციო ჟურნალს, მოსწავლეთა ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალს, გასული და შემოსული დოკუმენტაციის აღრიცხვის სარეგისტრაციო ჟურნალს, ხელშეკრულებების აღრიცხვის სარეგისტრაციო ჟურნალს. ჟურნალები დანომრილია. დამოწმებულია სკოლის დირექტორის ხელმოწერით და ბეჭდით. სკოლის ყველა აქტი ფორმდება სატიტულო ფურცელზე, რომელიც შემუშავებულია სკოლის მიერ. ვიზიტის დროს, სკოლამ ცვლილება შეიტანა სატიტულო ფურცლის ნიმუშის დამტკიცების შესახებ ბრძანებაში და ამით გაასწორა ტექნიკური ხარვეზი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | საქმისწარმოების ერთიანი წესი;<br>სარეგისტრაციო ჟურნალები,<br>დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ბრძნება სატიტულო ფურცლის ნიმუშში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე. |
| **შეფასება:** | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | სკოლის ვებ. გვერდი, და შესაბამისი გვერდები სოციალურ ქსელში (FACEBOOK, INSTAGRAM) შეიცავს სახელწოდებას ,,მეგა" სკოლა, რომელიც არ აქვს მინიჭებული სკოლას ოფიციალურად (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N448, 15.09.2005 ბრძანებაში ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" სკოლის სახელწოდებაა სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლა). სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობაში მოიყვანოს ვებ. გვერდის და სოციალური ქსელების  დასახელება მინისტრის ბრძანებაში მითითებულ სახელწოდებასთან. |
| **რჩევები:** | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| |
|---|
| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებით სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლას დამტკიცებული აქვს საშტატო განრიგი და შემუშავებული აქვს სტრუქტურა, ჰყავს ადმინისტრაცია, ტექ-პერსონალი და მასწავლებლები. მიმდინარე ეტაპზე, საშტატო ნუსხით წარმოდგენილია:<br><br>1 სკოლის დირექტორი;<br>3 დირექტორის მოადგილე;<br>1 ბუღალტერი ;<br>1 საქმისმწარმოებელი;<br>1 მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი;<br>1 ბიბლიოთეკარი;<br>1 საინფორმაციო მენეჯერი.<br><br>ასევე, სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ნუსხაში წარმოდგენილია:<br>2 ცეცხლფარეში, 3 მუშა, 2 დარაჯი, 3 დარაჯი სადღეღამისო, 1 სკოლის ექიმი, 12 დამლაგებელი, 3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, 3 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის მასწავლებელი.<br>სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად სკოლაში იმუშავებს 90 მასწავლებელი.<br>ადმინისტრაციის, ტექ-პერსონალისა და მასწავლებელთა უფლება-მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებებში (მასწავლებელთა ხელშეკრულებები ამოქმედდება 2021 წლის 15 სექტემბრიდან) სტატუსების შესაბამისად. სკოლის ბიბლიოთეკარის, კლასის დამრიგებლების მოვალეობები გაწერილია, ასევე, დებულებებშიც.<br><br>სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვა (პროექტი) კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისია. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 2021-2022-სასწ.-წლის-მასწავლებელთა-საათობრივი-დატვირთვის-პროექტი;<br>დამტკიცებული საშტატო განრიგი;<br>გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>ბიბლიოთეკის დებულება;<br>სადამრიგებლო დებულება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 90 |
| მოწვეული/მაძიებელი | 4 |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | 4 |
| უფროსი მასწავლებლი | 57 |
| წამყვანი მასწავლებლი | 24 |
| მენტორის სტატუსი | 1 |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სსიპ ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლის მასწავლებლები ჩართულები არიან „მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში“. პირად საქმეში წარმოდგენილი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია შეესაბამება ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. სკოლაში 4 მაძიებელი მასწავლებელია. აქედან 2 მაძიებელი მიმდინარე პერიოდში ელოდება შესაბამისი საკანონმდებლო აქტის გამოცემას უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების თაობაზე.<br>სკოლის 4 პრაქტიკოსი მასწავლებელიც, მიმდინარე პერიოდში, ელოდება უფროსი მასწავლებლის სატატუსის მინიჭებას |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.<br>მასწავლებლები შეირჩნენ სსიპ ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის შესაბამისად.<br>მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია მასწავლებლების ცნობები ნასამართლობის შესახებ, აგრეთვე, ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის, მასწავლებელთა სტატუსების ამსახველი დოკუმენტაცია, განსაკუთებული დამსახურებები და ჯილდოები, სერტიფიკატები. სკოლის ყველა მასწავლებელს აქვს პორტფოლიო. მასწავლებელთა პორტფოლიოები ორგანიზებულია და თითოეულ მასწავლებელის პროფესიულ საქმიანობაზე ამომწურავ ინფორმაციას შეიცავს. მაგალითად, მონაცემებს წარმატებით განხორციელებული პროექტების შესახებ, კონფერენციებში მონაწილეობის შესახებ და სხვა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | მასწავლებელთა პირადი საქმეები;<br>მასწავლებლების პორტფოლიო;<br>მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>სსიპ ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი;<br>ინტერვიუ მასწავლებლებთან; |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სსიპ ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი. წესი არეგულირებს კონკურსის გამოცხადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებს და განსაზღვრავს კანდიდატის შესაბამისობას ვაკანტური საათების დასაკავებლად დადგენილ სავალდებულო მოთხოვნებთან. კონკურსის პრინციპებია: |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ობიექტურობა, გამჭვირვალობა, კოლეგიალობა, კორექტულობა. დოკუმენტში აღწერილია კონკურსის გამოცხადების წესები და პროცედურები, მათ შორის - მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენა, კომისიის შემადგენლობა, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი, კონკურსის შედეგები და სხვა.<br>სკოლის შინაგანაწესის პროექტში დეტალურადაა აღწერილი სკოლაში დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის წარმოშობისა და ურთიერთობის პირობები, შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა და საბოლოო ანგარიშსწორება, დასაქმებულის წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა.<br>დღესასწაულებთან დაკავშირებით, მოტივაციის ამაღლების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის, საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის ან/და სხვა დასაბუთებული მიზეზის შემთხვევაში, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულთა მიმართ გამოიყენოს წახალისების სხვადასხვა ფორმები: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა.<br>დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.<br>სკოლაში დასაქმებული შრომით ხელშეკრულებასთან ერთად ეცნობა სკოლის შენაგანაწესს და ადასტურებს ხელმოწერით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | სსიპ ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესი;<br>სსიპ ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლის შინაგანაწესის პროექტი;<br>ინტერვიუ სკოლის მასწავლებლებთან, პერსონალთან, ადმინისტრაციასთან. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სსიპ ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლაში დასაქმებულ ადმინისტრაციულ-ტექნიკურ პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები ძალაში შედის 2021 წლის 15 სექტემბრიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით. შრომითი ხელშეკრულებები შეესაბამება შრომის კოდექსსა და მოქმედ კანონმდებლობას; ხელშეკრულებები დანომრილია დაწესებულებაში დამტკიცებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად და აღრიცხულია შესაბამის სარეგისტარციო ჟურნალში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | ხელშეკრულებები (უფროსი, წამყვანი, მენტორი მასწავლებლის, დირექტორის მოადგილის, მტუკის...);<br>სარეგისტრაციო ჟურნალი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სსიპ ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების დებულება, რომელიც განსაზღვრავს სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების მექანიზმებს. სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ეროვნული სასწავლო გეგმის, „მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 2 ივნისის N97/ნ ბრძანების და სხვა სამართლებრივი აქტებით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების შემოღებისა და განხორციელების მიზანია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება.<br>ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მიზნით სკოლაში:<br>• განხორციელდება თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის საჭირო ღონისძიებების ორგანიზება;<br>• სკოლის სტრუქტურაში მოცემული თანამდებობების სისტემატიზაცია, პოზიციების შესაბამისის სამუშაო აღწერილობების შემუშავება და მათი განახლების უზრუნველყოფა;<br>• რეგულარულად შეფასდება ადამიანური რესურსების მართვის მეთოდებისა და შესაბამისი პროცედურების ეფექტიანობა;<br>• გაკეთდება ადამიანური რესურსის სტაბილურობის, აგრეთვე, დინამიკის სტატისტიკური ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციები;<br>• დაიგეგმება და განხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება თანამშრომელთა გუნდური მუშაობის და მათ შორის არაფორმალური ურთიერთობების განვითარებას.<br>• განხორციელდება კონსულტაციებისა და სადისკუსიო შეხვედრების ორგანიზება;<br>ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმების განხორციელებას ხელმძღვანელობს დირექტორის მოადგილე დირექტორთან შეთანხმებით. დასაქმებულთა პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა უფლებამოსილია:<br>• არსებობის შემთხვევაში, ჩაერთოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში;<br>• უზრუნველყოს წინარე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სკოლაში დასაქმებულების აქტიურ მონაწილეობის წახალისება;<br>• დასაქმებულის თანხმობით, უზრუნველყოს მათი მონაწილეობა პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ხელს შეუწყოს მასწავლებელს აიმაღლოს კვალიფიკაცია.<br>მასწავლებელთა პროფესიული განვითარება მოიცავს შემდეგ ეტაპებს: პროფესიული განვითარების მოთხოვნების იდენტიფიცირებას, გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად სხვადასხვა ღონისძიების შერჩევა/დაგეგმვას, შესაბამისი კანდიდატების შერჩევას, მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის რეგულარულ შეფასებას.<br>მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას ახორციელებს სკოლის დირექტორი. კერძოდ:<br>• ახორციელებს საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგს, სწავლების ხარისხის ამაღლებისა და მასწავლებელთა თვითრეფლექსიის მიზნით;<br>• რეგულარულად ამოწმებს მასწავლებელთა პროფესიულ ცოდნასა და უნარებს;<br>• სასწავლო წლის განმავლობაში შერჩევითობის პრინციპით ესწრება გაკვეთილებს;<br>სსიპ ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლის ერთწლიან და ექვსწლიან სტრატეგიული განვითარების გეგმებში მნიშვნელოვანი მიმართულებაა სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა - მასწავლებელთა პროფესიული განვითარება. მითითებულია კონკრეტული აქტივობები ამ მიმართულების გაძლიერებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | სსიპ ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლის ერთწლიანი განვითარების გეგმა;<br>სსიპ ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლის ექვსწლიანი განვითარების გეგმა;<br>სსიპ ქალაქ თბილისის №221 საჯარო სკოლის SWOT ანალიზი<br>სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების მექანიზმები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---



დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლაში არის მაღალი თანამშრომლობითი კულტურა, რომლის უმოკლეს დროში ფორმირებაც სკოლის ლიდერი-დირექტორისა და ადმინისტრაციის დამსახურებაა. სკოლის მასწავლებლებში არის ერთსულოვნებისა და გუნდურობის განცდა. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ ერთობლივად იმუშავეს სასკოლო საგნობრივ კურიკულუმებზე, სასწავლო რესურსების შექმნაზე. მასწავლებლები რეალურად და ობიექტურად აფასებენ საკუთარ გამოწვევებს და მათთან გამკლავების ეფექტიან გზად ურთიერთთანამშრომლობას ასახელებენ. სკოლის ცენტრალურ ფოიეში განთავსებულია დიდი სლოგანი „Together, Everyone, Achieves, More", რაც სასკოლო საზოგადოებას მოუწოდებს ერთსულოვნებისა და წარმატებისაკენ.<br>ნიშანდობლივია ის ფაქტიც, რომ სასკოლო ჰიმნი სკოლის მასწავლებლების შექმნილია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | მასწავლებლებთან გასაუბრება<br>ადმინისტრაციასთან გასაუბრება<br>სკოლის ვებ-გვერდი: https://megaschoolgeorgia.ge/<br>სკოლის სოციალური გვერდი:<br>https://www.facebook.com/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%92%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90-110931810755361 |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **რეკომენდაციები:** | |
| **რჩევები:** | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია**<br>☐ **სტანდარტი დარღვეულია** |

## XI. თანდართული დოკუმენტაცია:

1. დანართი N1 - სკოლის დირექტორის ბრძანებები N2/1, 20.07.2021წ. და N2/33, 30.08.2021წ. - სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლის სატიტულო ფურცლის ნიმუშის დამტკიცების შესახებ და ბრძანებაში ტექნიკური ცვლილების განხორციელების თაობაზე - 2 (ერთი) ფურცელი;
2. დანართი N2 - ახალი სატიტულო ფურცლის ნიმუში - 1 (ერთი) ფურცელი;
3. დანართი N3 - დარაჯის ხელშეკრულება - 6 (ექვსი) ფურცელი;
4. დანართი N4- ექიმის ხელშეკრულება - 5 (ხუთი) ფურცელი;
5. დანართი N5 - სასკოლო-სახელმძღვანელოების მიღება-ჩაბარების აქტი - 6 (ექვსი) ფურცელი;
6. დანართი N6 - სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები - 8 (რვა) ფურცელი;
7. დანართი N7 - სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლის სამედიცინო დახმარების არსებული პროცედურა (სქემატური გამოსახულება) – 1 (ერთი) ფურცელი;
8. დანართი N8 - სსიპ ქალაქ თბილისის N221 საჯარო სკოლის საქმისწარმოების ერთიანი წესი - 37 (ოცდაჩვიდმეტი) ფურცელი.

**სულ: 66 (სამოცდაექვსი) ფურცელი.**

..... .....



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

(შევსების ადგილი) ქ. თბილისი
თარიღი: 03.09.2021წ.
გვერდების რაოდენობა: 46



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.